

რატომ გახდა საჭირო კურორტ ბოიისეთის განმეორებითი აღჭურვა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები აგვისტო-სექტემბერში კურორტ გომისმთაზე შენობა-ნაგებობების აღწერას და მათი მეპატრონეების ვინაობის დადგენის სამუშაოებს აწარმოებდნენ. აღიწერა 900-მდე სახლი. ეს სამუშაოები გასული კვირის პარასკევს უნდა დაესრულებინათ.

რამ გამოიწვია კურორტზე არსებული შენობა ნაგებობების ხელახლა აღწერის საჭიროება, რა დოკუმენტები შემორჩა 1989-1990 წლების აღწერიდან, ამაზე გაზეთი „ალიონი“ ოზურგეთის ტექა-დრიცხვის ბიუროს ყოფილ უფროს ინჟინერს ვილერი მამინაშვილს ესაუბრა:

— გასული საუკუნის 80-იან წლებში ოზურგეთის რაი-ალმასკომის ტექა-დრიცხვის ბიუროს ვმუშაობდი. ბიუროს

ძალიან კარგი სპეციალისტი, არქიტექტორი თამაზ კვაჭანტირაძე ხელმძღვანელობდა.

იმ წლებში ოზურგეთის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე მაცვალა ჟღენტი იყო, რომელმაც დავალება მისცა ტექა-დრიცხვის ბიუროს, რომ აღგვეწერა კურორტ გომისმთაზე სააგარაკო სახლები, რადგან ამ დროისათვის ფაქტიურად კურორტი მიტოვებული იყო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

დავიწყეთ მუშაობა, სააგარაკე სახლებს საზომი ლენტით ვზომავდით. მეზმარებოდნენ კურორტის იმჟამინდელი დირექტორი დათო სადრაძე და შენობების დაცვის უფროსი რუსლან ბაბილოძე. აღიწერა სულ დაახლოებით 500-მდე სახლი. იმჟამად ხარიათაღის მხარეს 40-ზე ცოტა მეტი სახლი თუ იდგა. ყველა შენობა იდგა დაბალ ბოძებზე და კიბის საფეხური რამდენიმე სახლს

თუ ჰქონდა ძალიან დიდ დახმარებას მიწვედა დათო სადრაძე, რომლისთვისაც ეს კურორტი ცხოვრების მთავარი საზრუნავი იყო.

მე 1989-1990 წლებში 2,5 თვე ვიმუშავე აღწერაზე. ქუჩების მიხედვით ვადგენდით სახლების მეპატრონეთა ვინაობას.

პრეტენზიები არ იყო, გარდა ერთი შემთხვევისა. ერთ-ერთი მოაგარაკე პრეტენზიას აცხადებდა, რომ მის სანათესაოს აქ მემკვიდრეობით ეკუთვნოდა დაახლოებით 100 მეტრზე მეტი სიგრძეზე „სამოსახლო“ ადგილები.. თუმცა ეს გამონაკლისი იყო.

კურორტის ცენტრალურ ადგილებში საკმაოდ დიდი ტერიტორია იყო გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის: ადმინისტრაციული შენობისთვის, საექიმო დაწესებულებისათვის, ეკლ-



ესიის ასაგებად, ბავშვთა გასართობი ცენტრისათვის და ა.შ.
— რა ხდებოდა კურორტ გომისმთაზე მეზობელ მუნიციპალიტეტებთან ადმინისტრაციული საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით?
 — ერთ დღეს აღმასკომის

თავმჯდომარემ დამიბარა და მითხრა, რომ ოფიციალურად უნდა „დაედგინათ“ რეალურად არსებული ადმინისტრაციული საზღვრები მეზობლებთან. ამისათვის მან თბილისიდან გამოითხოვა ტოპოგრაფიული რუკები. სამ დღეში

ქალბატონ მაცვალას მაგიდაზე იდო ტოპოგრაფიული რუკები და რაიონის მთავარ არქიტექტორ ოლეგ ჩხაიძესთან, ტექა-დრიცხვის ბიუროს უფროსს თამაზ კვაჭანტირაძესთან ერთად მუშაობდა. **▶▶▶ 88-3**



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

წოდვალკვირეული გამოშვება. № 33 (10326) 30 სექტემბერი, 2019 წ. ღასი 60 თმთრი.

გურიამი ავსაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგებს

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, გურიამი მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი და ეროვნული გმირის, ზაზა დამენიას საფლავი გვირგვინებით შეამკეს. წუთიერი ღუმლით პატივი მიაგეს გმირების ხსოვნას და მათ ოჯახებს მიუსამძიმრეს.

„სოხუმის დაცემიდან 26 წელი გავიდა. საბრძოლო

მოქმედებების დროს გურიიდან 40 ჯარისკაცი დაიღუპა და უგზო-უკვლოდ სამი მებრძოლი დაიკარგა. ჩვენ დღეს ვინსენებთ იმ გმირებს, რომლებმაც სამშობლოსთვის თავი გაწირეს. ეს არის დღე, რომელიც მთელი ქვეყნისთვის მძიმე და ტკივილიანია. ქედს ვიხრი ჩვენი მებრძოლების ხსოვნის წინაშე, მათ თავდადებას არასოდეს დავივიწყებთ“ - მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია.

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. ომი 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა.



ჩამოქცევამდე დარბეული ოთხთა მონასტერი და უჯვრო იუხანი...

თეფურ მარშანიშვილი



თეფალეს (ოთხთა ეკლესია) მონასტერი



იუხანი

საქართველოს მფარველთა კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის მესამედიცინა თურქეთში

24-25 სექტემბერს საქართველოს მფარველთა კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციამ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სურების წარმომადგენლებთან და გაზეთ „ალიონის“ რედაქციასთან ერთად, პირველი ხანმოკლე ექსპედიცია გამართა თურქეთში, ისტორიულ ტაოში, ართვინისა და შავშეთის ვილაიეთებში.

სანამ ექსპედიციის შედეგების გაცნობას დაიწყებდნენ, ორიოდე სიტყვით საბაჟოზე გადამხდარი თავადასაუბრისა:

სარფის საბაჟოზე ქართველმა მებავებმა დღეგაციის ყველა წევრი უპრობლემოდ გაატარეს, ხოლო მე, ამ სტრიქონების ავტორი, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, 37 წუთი მაყურებელს ადგილზე და შემდეგ მომცეს უფლება თურქი მეზაყუებისკენ გადავსვლიყულიყავი, თუმცა, იყამდე არმისულს უკან მობრუნება მომიხდა, რადგან ერთი ახალგაზრდა თურქი მეზაყუ ჩვენი დღეგაციის

▶▶▶ 88-5

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

ოზურგეთში ალიტუსის დელეგაცია იმყოფებოდა

ლიეტუვას ქალაქ ალიტუსის მუნიციპალიტეტსა და ოზურგეთის შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სხვადასხვა ერთობლივი პროექტი და გაცვლითი ვიზიტები ხორციელდება. ოზურგეთში, ახალი პროგრამის „ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პერსპექტივები და გამოცდილების გაზიარება ალიტუსის მუნიციპალიტეტის მაგალითზე“ ფარგლებში ალიტუსის 7 კაციანი დელეგაცია იმყოფებოდა. დელეგაციას ალიტუსის მერი, ალგირდას ვრუბლაუსკასი ხელმძღვანელობდა. ლიეტუველ სტუმრებს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენ-

ლებმა უმასპინძლეს. მანამდე ალიტუსში ოზურგეთის დელეგაცია იმყოფებოდა. ალიტუსსა და ოზურგეთს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი 2015 წელს გაფორმდა. ამ დროის განმავლობაში, მხარეებმა რამდენიმე ერთობლივი პროექტი განახორციელეს: „აქტიური ადგილობრივი მოქმედების გვერდები - ალიტუსის რაიონის გამოცდილების გადაცემა ოზურგეთისთვის“, „სოციალური დახმარების მოდელი ოზურგეთისა და ალიტუსის მუნიციპალიტეტებისთვის“, „სტუდენტების განვითარება და მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება“. დელეგაცია ოზურგეთიდან 29 სექტემბერს გაემგზავრა.



უშა პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის განხილვა გაიმართა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციისა და მისი ფაქულტატიური ოქმის ზოგადი მიმოხილვა სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა, ნინო ვალიკოვა განიხილა, ხოლო კონვენციის დანერგვასა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმების შესახებ ნათია ბერაძემ ისაუბრა. საუბარი შეეხო რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მოქმედ შშმ პირთა საბჭოების ფუნქციონირებას, მათ ეფექტურობასა და ქმედუნარიანობას, ახალ გამოწვევებს, შშმ პირთათვის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას. განიხილეს სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი შშმ პირთა საკითხების შემსწავლელი სათაბაირო საბჭოს წევრები, მერის მოადგილეები: ირაკლი სირაძე და ოსიკო თოითაძე, ადმინისტრაციული, მონაწილეობით დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელი, გიორგი ინწკირველი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, მარინა ჯავახიძე, თვითმმართველობის სამსახურის სპეციალისტი თამუნა ბაქანიძე, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომელი, ქეთევან სანიკიძე, საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“-ს წევრები და საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები დაესწრნენ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების შემსწავლელი სათაბაირო საბჭო გვემუარად, ყოველ 3 თვეში ერთხელ იკრიბება და შშმ პირებთან მიმართებაში საჭირო კვლევ-

ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ რეგიონალური ორგანიზაციების აქტივთან შეხვედრები დაიწყო



ალიონი. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა პარტიის რეგიონალური ორგანიზაციების აქტივთან შეხვედრები დაიწყო პირველი შეხვედრა გასული კვირის ხუთშაბათ-პარასკევს, სასტუმრო „პარაგრაფში“, გურიის რეგიონალური ორგანიზაციის აქტივთან გაიმართა. შეხვედრაზე რეგიონის პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ „ქართული ოცნების“ გურიის რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, შტაბის წევრები, გურიის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები. როგორც გაზეთ „ალიონს“ აცნობეს, შეხვედრაზე, სხვა საკითხებთან ერთად ოზურგეთში მიმდინარე დაპირისპირებებზეც იყო საუბარი.



ვისა და პროგრამების დაფინანსების საკითხებს განიხილავს. წლის განმავლობაში საბჭოზე ინიცირებული 2 პროექტი დაფინანსდა. შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის "შიაგ-

რობის შესაძლებლობების გაძლიერება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციისთვის" მხარდაჭერით გაიმართა.

„ქართველებო, შევერთდეთ და განვმტკიცდეთ“...



ალიონი. 26 სექტემბერს ქ. ოზურგეთის №5 საჯარო სკოლაში ამ სკოლის მოსწავლეებმა აფხაზეთის ომის ვეტერანებს თემურ გოგუაძეს, ავთო ჩაგლეშვილს და თინათინა ჩხარტიშვილს შესვედრა მოუწვევს და კიდევ ერთხელ გაიხსენეს ძმათამკველელი ომი და სოხუმის დაცემის დღე. ლონისძიების პირველ ნაწილში დოკუმენტური კადრები წარმოადგინეს აფხაზეთის ომიდან, შემდეგ უფროსკლასე-

ლებმა არერთი კითხვა დაუსვეს სტუმრებს. საინტერესო კითხვები დასვეს გიგა ბერაძემ, ნინო ლომჯარამ, ნანა თოითძემ, გიორგი სალუქვაძემ, გიორგი მარშანიამ, ზუკა ცხომელიძემ, ნიკა ქუთათელაძემ. ომის ვეტერანებმა გაიხსენეს მათი საბრძოლო ეპიზოდები, გარდაცვლილი ფრონტელი მეგობრები, ისაუბრეს ომის დაწყების მიზეზებზე. ამ ლონისძიებაზე სიმღერის პრეზენტაციაც შედგა. სკოლის დირექტორის, ქეთევან ქაღიშვილის მიერ 1993 წლის 25 ივნისის დაწერილ ლექსზე პედაგოგ ნატო ზარანდაის შექმნილი სიმღერა, - დღეს შევერთდეთ, ხვალ იქნება გვიან,“ შესარულებს მარიამ, ზუკა ცხომელიძემ, ლიზი ჯაშმა. -1993 წლის ზაფხული იყო... მეგობარმა შემოძაგა აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილი ქეთევან ქაღიშვილის ლექსზე მუღოლია დაიქნა. სიმღერის პრემიერა შედგა 26 წლის შემდეგ... ნგვითხრა ნატო ზარანდაი.

დავეხმაროთ „ალიონს“

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ყველა გამოცემას, გაზეთსა და სხვა მედია-საშუალებებს, მაგრამ გაზეთი „ალიონი“ გამორჩეულია თავისი სპეციფიკურობითა და მასალათა მრავალფეროვნებით. ის არის უძველესი გაზეთი მხარის მასშტაბით, რომელიც აქვეყნებს აქვეყნებს სხვადასხვა შინაარსის საინტერესო მასალებს როგორც მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ისე ისტორიულ, სპორტულ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მისი რედაქცია ყოველთვის იყო და არის დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური კადრებით. ფინანსური პრობლემების გამო, რედაქციამ გარკვეული დროით შეაჩერა გაზეთის გამოცემა, რაც

არასასურველი მოვლენა იყო მისი არსებობის ისტორიაში. მივესალმებით იმ ფაქტს, რომ სამიოდე კვირის წინ განახლდა გაზეთის გამოცემა. მოვუწოდებ მუნიციპალიტეტისა და რეგიონის მოსახლეობას, მხარში ამოუდგნენ მას. გამოვიწეროთ „ალიონი“ და ამით გამოვხატოთ ჩვენი მისდამი თანადგომა. ვთხოვთ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, სათანადო ყურადღებითა და დაფინანსებით ხელი შეუწყოს გაზეთის ნორმალურ ფუნქციონირებას. **გაბრიელ გოგოლაძე,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ასოცირებული დოქტორი

რატომ გახდა საჭირო კურორტ გომისმთის განმეორებითი აღჭურვა

თად განვიხილოთ.

ამის შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარემ გამოსცა განკარგულება, რომ „ვილენ ვალერიანის ძე მამინაშვილს მიეცეს უფლება, დაადგინოს საზღვრები ოზურგეთისა და შუახევის მუნიციპალიტეტებს შორის კურორტ გომისმთაზე და ადგილზე მოპოვებული მასალები გადასცეს ოზურგეთის რაიონული აღმასკომის ტექნოლოგიის ბიუროს.“

ძალიან დიდი ბრძოლა გვქონდა. ოზურგეთის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარემ ოზურგეთში მოიწვია შუახევის რაიონის აღმასკომის ხელმძღვანელობა. შუახევიდან აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და კიდევ 3 სხვა თანამდებობის პირი ჩამოვიდა ოზურგეთში და შეხვედრა შედგა, თუმცა განმეორებით შეხვედრაზე არ ჩამოსულან.

— სად არის დღეს თქვენს მიერ გაკეთებული აღწერის მასალები?

— დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად შედგა. დოკუმენტების ერთი პირი შემოქმედის სასოფლო საბჭოში, მეორე ოზურგეთის ტექნოლოგიის ბიუროში იყო, მესამე ზუსტად არ ვიცი, ხოლო მეოთხე უშუალოდ სააგარაკო სახლების

მეპატრონეებისთვის უნდა გადაეცა შემოქმედის სასოფლო საბჭოს. ოზურგეთის ტექნოლოგიის ბიურო კინოთეატრ „ოზურგეთის“ გვერდზე შენობაში მდებარეობდა. 1992 წელს ამ შენობაში იყო იმჟამინდელი არაოფიციალური შეიარაღებული დაჯგუფების შტაბ-ბინა. ზამთარი იდგა, შუქი არ იყო და ტექნოლოგებში დაცული დოკუმენტებიდან საკმაოდ ბევრი რამ დაწვეს გათბობის მიზნით, რომელთა შორის გომისმთის აღწერის მასალებიც იყო. რაც შეეხება შემოქმედში არსებულ აღწერის მასალებს, ჩემი ინფორმაციით იგი არასრულყოფილია.

— როგორ შეაფასებდით გომისმთაზე გაჩაღებულ სტიქიურ მშენებლობებს?

— გომისმთაზე ასლა სამშენებლო ქარსია, რომელიც ძალიან დიდი ზიანის მომტანია კურორტის მომავლისათვის. ელემენტარულად, სახანძრო უსაფრთხოების წესებსაც არ იცავენ. სახლები მიჯრით მშენდება. წელს, იცით კურორტ ბახმაროს ცენტრში ხანძარი გაჩნდა ერთ-ერთ სააგარაკო სახლში და ცეცხლი სწრაფად გადაედო მეორე შენობასაც. რომ არა მეხანძრეები, გაცილებით მეტი ზარალი იქნებოდა.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ზურაბ ჩხარტიშვილი შიშველი ხელებით ებრძვის ამ განუკითხაობას. კარგია, რომ მუნიციპალიტეტის მერია იქ შენობების აღწერას ახდენს, მაგრამ რჩება კითხვის ნიშნები.

დავით სადრაძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა კურორტს, შემდეგ ამ თანამდებობაზე 3 წელი ასევე შემოქმედელი ელგუჯა ბურჭულაძე იყო. გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს გომისმთაზე 2000-ზე მეტი სახლი იდგა, სინამდვილეს არ შეეფერება. იქ ჩემ მიერ განხორციელებული აღწერის დროს 500-ზე ცოტა მეტი სააგარაკო ნაგებობა იდგა.

* * *

გაზეთი „ალიონი“ კურორტზე ერთ-ერთი სააგარაკო სახლის მეპატრონეს, ქ. ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექტორ ქეთევან ქაღვიშვილს ესაუბრა და კურორტ გომისმთაზე მიმდინარე პროცესებზე სთხოვა აზრი.


— „გომისმთას უკავშირდება ჩემი ბავშვობა, ლამაზი მეზობლური ურთიერთობები. რთული გზა და ამ საოცარი კურორტის დასამახსოვრებელი სიღამაზე. ჩვენი სახლი გომისმთა-



ზარათაღის გზაზე, კომკავშირის ქუჩაზე იდგა. ამჟამად იქ სახლი არ არის, დაინგრა, მაგრამ არის ნასახლარი. ასლა სახლების აღწერა მიმდინარეობს და ბევრ სახელდახელო აგებულ ნაგებობას მიენიჭა ნომერი, მაგრამ იმ სააგარაკო სახლების მეპატრონეები, რომელთა სახლები დაინგრა, ამ მოპარეს, ნომერს ვერ მიიღებდნენ, მათ შესაძლებელია უარი უთხრან საკუთრების უფლებაზე.“
ჩვენი ინფორმაციით სააგარაკო სახლების მეპატრონეებისაგან სახლების რეგისტრაციაზე განცხადებებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობა უახლოეს პერიოდში დაიწყებენ.
— ჩვენი ლეგალიზაციის კომისია, გომისმთაზე არსებული სააგარაკო სახლების ლეგალიზაციას ვერ მოახდენს, რადგან ჯერ სახელმწიფოს კურორტის შესაბამისი სტატუსი არ განუსაზღვრავს — გვითხრა მუნიციპალიტეტის ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარე პაატა კიდურაძემ.

უნდა გამოვიყენოთ თუ არა მეზობელი სახელმწიფოს გამოცდილება



ალიონი. გასულ კვირაში, მეზობელ თურქეთში, ზემო ტაოში (ართვინის ოლქი) მწერლები იმყოფებოდნენ გურიიდან. გზა, რომელიც ძირითადად ჭოროხის აუზს მიუყვება და დაახლოებით 250-მდე კილომეტრია, გვირახებითაა დაქსეფილი. მათ 75 მიწისქვეშა ნაგებობა გაიარეს, რომელთა საერთო სიგრძე 43 კილომეტრი იყო. მათგან ბორჩხა-ართვინის გზატკეცილზე ერთ-ერთი გვირახის სიგრძე 5 228 მეტრია. ასევე ყურადღებას იქცევდა საუკეთესო ხიდეები, რომელთაგან ერთ-ერთის სიგრძე 300 მეტრზე მეტი იყო.

ბუნებრივია, ასეთ ნაგებობებს, გზას დიდი ოდენობით ქვიშა-ლორდი სჭირდება, რომელსაც ისინი ჩვენგან განსხვავებით არ იღებენ მდინარეთა აუზებიდან, არამედ იმ კლდეებიდან, რომლებსაც აქაური მეზვევები გზის მშენებლობებისას ამუშავებენ.
— გურიის მდინარეების აუზები მძიმე მდგომარეობაშია ქვა-ლორდის დიდი ოდენობით მოპოვების გამო. კარგი იქნება, თუკი ჩვენთანაც შესაბამისი სამსახურები (წიაღის ეროვნული სააგენტო) მეზობელი ქვეყნის გამოცდილებას გაიზიარებენ — განაცხადეს გაზეთ „ალიონთან“ რევიონის მწერლებმა.

საგანგებო სიტუაციების გადაჭრის დახმარების ცენტრის ემუნსიონალიზაცია

ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 368 485 ლარს შეადგენს, რომელიც ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა. სამუშაოებს შპს „პლაზმა“ აწარმოებს, რომელიც წლის ბოლოს დასრულდება.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სოფლებში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწოდებას აპროექტებს

სოფელ ბოზვარის შემდეგ ფედერაციამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის სტადიონის რეაბილიტაცია განახორციელა. პროექტის ფარგლებში შემოიღობა სტადიონი, დამონტაჟდა ტაბლო და საფეხბურთო კარი, განაწესდა მოედნის საფარი. განახლებულ საფეხბურთო სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი და პირველი ვიცე პრეზიდენტი კახა ტუმუბურიძე იმყოფებოდნენ. ფედერაციის წარმომადგენლებმა ოზურგეთელ სპორტსმენებს საჩუქრად სპორტული ინვენტარი: მაისურები და ბურთები გადასცეს. განახლებულ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი სტუმარ და მასპინძელ გუნდებს შორის, რომელშიც ქალთა საფეხბურთო გუნდების წევრებიც მონაწილეობდნენ.

ჩატარდა სახალისო ფეხბურთის მატჩები ბავშვთა გუნდებს შორის, რომელშიც ლიხაურის, ბახვის, სოფელ ოზურგეთის, მერიის, დვბაზუს 2 საჯარო სკოლის და საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ბავშვთა გუნდები მონაწილეობდნენ.



საქართველოს კომისიის სხდომაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ, ა.ა.ი.პ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ სასწავლო-სააღმწერებლო პროცესის დაწყების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია მოისმინა. საკრებულოს წევრების შეკითხვებს ცენტრის დირექტორმა უპასუხა.

სხდომაზევე განიხილეს სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტების განთავსების წესი. დამტკიცდა დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია რომ კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს წესის განხილვას საკრებულოს მორიგ სხდომაზე, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით.

ევროპის სპორტის კვირეული ოზურგეთში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ევროპის სპორტის კვირეული მიმდინარეობს. კვირეულის ფარგლებში პროფესიონალი და მოყვარული სპორტსმენები სპორტის სხვადასხვა სახეობებში ღებ-ულობენ მონაწილეობას.

ღღეს ტურნირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოლიმპიურ სახლში კრივის სახეობაში გაიმართა. ევროპის კვირეული ღღეს, 30 სექტემბერს დასრულდება.



ქართველი უცხოეთში

„ჩემი პირველი არტიტული ნაბიჯები ნაგომრის ქოროში გადაიდგა“



საუკეთესო გერმანულმა დრამატულმა სერიალმა **McMafia**, რომელშიც მთავარ როლს ცნობილი ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე ასრულებს, საერთაშორისო ნომინაცია - ემი მიიღო. ფილმის სცენარი მიშა გლენის ბეტსლერი წიგნის მიხედვით, ჰუსეინ ამინა და ჯემის უოტკინმა შექმნეს. სიუჟეტი გლობალური მაფიის ისტორიას მოგვითხრობს. ინგლისში გაზრდილი, რუსული მაფიოზური ოჯახის წევრი საკუთარი წარსულისგან გაქცევას და ახალი ბიზნესის დაწყებას ცდილობს. თუმცა წარსულისგან თავის დაღწევას ტრაგიკული შემთხვევა არ აცდის, რომელიც მას კრიმინალურ სამყაროში დაბრუნებისა და საყვარელი ადამიანების დაცვისკენ უბიძგებს...

მერაბ ნინიძე 1965 წლის 3 ნოემბერს დაიბადა თბილისში. იგი

სკოლაში სწავლის პერიოდში ხშირად ჩამოდიოდა სოფელ ნაგომარში, სადაც მისი ბაბუა, სერგო ახალაძე ცხოვრობდა. მერაბი ასე იფიქრებს ამ პერიოდს. „ყველაფერი საინტერესო, ახალი და ემოციური, რაც ჩემს ცხოვრებას უკავშირდება, სოფლიდან მომდევნა. ჩემი პირველი არტიტული ნაბიჯებიც ნაგომრის ქოროში გადაიდგა. ვინაიდან ბაბუა რეჟისორი იყო, მთელ ბავშვობას მის რეპეტიციებზე ვატარებდი, ოზურგეთის თეატრში. ამიტომ სულ ზეპირად ვიცოდი პიესები და მეზობლის ბავშვებთან ერთად იმავე ნაწარმოებებზე ჩემს ახალ ვერსიას ვდგამდი. დატვირთული რეპეტიციები გვქონდა, ძალიან მონდომებით ვმუშაობდით. ქოროში შედარებით მსუბუქი სპექტაკლები იდგებოდა, სახლის აივანზე კი უკვე სერიოზული განაცხადი გვაკეთეთ, როცა მოლიერის „ტარტიუფი“

დავდგით. ეს იყო ურთულესი ნაბიჯი, რეკვიზიტებით დატვირთული. მთელი სამეზობლოს ბავშვები ვმონაწილეობდით სპექტაკლში. მათ შორის იყო ჩემი დედაშვილი ლევან ფიციქეც. წარმოდგენას ჩემი ბიძაშვილი ნინო ახალაძე ხსნიდა, იგი ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყო და ამიტომ მთავარ როლებს და სოლო გამოსვლებს ყოველთვის მას ვაძლევდით, მოკლედ „ტარტიუფის“ პრემიერა დიდი წარმატებით და ანშლავით ჩავატარეთ.

ზაფხულში დასვენებასთან ერთად შრომაც მიწვედა. ბაბუა ყოველთვის ცდილობდა ყანაში ან მინდორში თოხით და ბარით ხელში ვყოფილიყავი და მივხმარებოდი. თუ კარგად გავთოხნიდი ან დავბარავდი, ბაბუას მძღოლს 20 წუთში ურეკში ჩაგყავდით ზღვაზე. ეს იყო მთავარი ჯილდო, დამღლელი საშუალო შემდეგ. არასოდეს დამავიწყდება, ოზურგეთის თეატრში ბაბუას დადგმული „ნინოშვილის გურია“, ძალიან შთაბეჭდავი იყო. ბაბუა თავადაც მონაწილეობდა, ფინალურ სცენაში გამოდიოდა და ეგნატეს მონოლოგით ამთავრებდა სპექტაკლს. იმ წლებსთვის ძალიან თანამედროვე დადგმა იყო. ბოლო ეპიზოდში სცენაც კი ტრიალებდა, რაც მაშინ დიდ სიახლეს წარმოადგენდა. ეს სპექტაკლი გასტროლითაც ჩამოიტანეს თბილისში რუსთაველის თეატრში. მხარდაჭერის მიხედვით დარბაზში სრული შემადგენლობით ვისხედით მე და ჩემი კლასელები.

ნაგომარი ჩემი ბავშვობის

პერიოდში ძალიან განვითარებული იყო. ტელეფონიც გვქონდა, ტელევიზორიც, კინოც ფუნქციონირებდა და სენსებს არ ვაცდენდით, ფილმის ჩვენება ღამის 10 საათზე იწყებოდა, როცა გლეხები საქმისაგან თავისუფლდებოდნენ. ბებიის გაკლენით პატარაობიდანვე კინოს დიდი თავყვანიძემეყვანილი ვიყავი. ბებია - ზეინაბ ლოლობერიძე ღამის ფანატიკოსი იყო და მეც ჩავერთე ამ სამყაროში. სხვა თუ არაფერი, მარტო „მუსიკის ჰანგები“ იმდენჯერ ვნახე, რომ ყველა სიმღერა ზეპირად ვიცოდი.“

- მერაბ ნინიძე 13 წლის იყო, როცა რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუამ დაამტკიცა როლზე - „უფლისწული ელჟარდი („რიჩარდი“)“. მოულოდნელად თეატრზე შეგვარებული ყმაწვილი ქართული სცენის კორიფეების რამაზ ჩხიკვაძისა და გიორგი გეგეჭკორის გვერდით აღმოჩნდა. ასე დაიწყო მისი ნათლობა დიდ სცენაზე. სკოლის დამთავრების შემდეგ მერაბმა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიბო ფაკულტეტზე ჩააბარა (გიზო ჟორდანიას ჯგუფი). რომლის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, სადაც მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ანა ფრანკის დღიური“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ამაღამ მგონი იქნება ქარი“, „ლეონსი და ლენა“, „კამლეტი“, თეატრალურ სარდაფში „ვენეციელი ვაჭარი“ (რეჟ. ლევან წულაძე).


მერაბ ნინიძის დებიუტი კინოში

1984 წელს შედგა, თენგიზ აბულაძის ფილმში „მონანიება“, რომელიც მოგვიანებით კინოფესტივალის პრიზიორი გახდა. საქართველოში 20-ზე მეტ ფილმში ითამაშა. 1992 წელს კი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა. 1995 წლიდან ცხოვრობს ავსტრიაში, ვენაში და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. 2001 წელს ითამაშა კაროლინა ლინკის ფილმში „არსად აფრიკაში“, რომელმაც 2003 წელს ოსკარის პრემია მიიღო - საუკეთესო უცხოენოვანი ფილმისთვის. 2011 წელს ლეჩეს ევროპულ კინოფესტივალზე მერაბ ნინიძემ საუკეთესო ევროპელი მსახიობის პრიზი მიიღო მამაკაცის როლის შესრულებისთვის, რობერტ ადრიან პეოს ფილმში „მკვლელები კამერა“. 2016 წელს რეჟისორებმანანა ექვთიშვილი და სიმონ გროსიმ გადაიღეს ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ სადაც მერაბ ნინიძეს პარტნიორობას მსახიობი ია შულდიაშვილი უწევს. ფილმი ეროვნული კინოცენტრის გამარჯვებულია. იგი საქართველოს გერმანიისა და საფრანგეთის ერთობლივი კინო ნამუშევარია. მერაბ ნინიძე დღეს თეატრისა და კინოს ერთ-ერთი საუკეთესო უცხოეთში მოღვაწე ქართველი მსახიობია, რომელიც სამომავლოდ საინტერესო პროექტების განხორციელებას გეგმავს. გვჯერა, რომ იგი შთამბეჭდავად განხორციელებული თავისი გმირებით, ჭეშმარიტად იბრწყინებს მსოფლიო ხელოვნებას გვერდით.

მთიანეთის კუკულაპა

გლეხთა აჯანყებები გურიაში 1862 წელს

იხილეთ მასალა უფლებები



ბატონყმობის გაუქმების წინ მკვეთრად დაიძაბა სოციალური ურთიერთობა გურიაში. გურული თავადებისა და აზნაურების თვითნებობა და ძალმომრეობა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. გლეხთა გამოსვლა გურიაში წლების განმავლობაში მზადდებოდა. შემონახული დოკუმენტებიდან არ დგინდება საბაბი, რომელმაც 1862 წელს გლეხთა მღელვარება გამოიწვია. სამაგიეროდ, დადასტურებულია, რომ ამ დროს გლეხთა მღელვარება სამჯერ მოხდა: 1862 წლის მარტში, აგვისტოსა და სექტემბერ-ოქტომბერში. სამივე გამოსვლა ბატონყმური ჩაგვრით იყო გამოწვეული, თუმცა ორგანიზაციული კავშირი მათ შორის არ ყოფილა. როგორც ჩანს, ერთსა და იმავე ნიადაგზე აღმოცენებული სამივე გამოსვლის საბაბი სხვადასხვა იყო.

1. გლეხთა პირველი გამოსვლის (1862 წლის მარტი) შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემონახული. 1862

წლის 1 აპრილს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ნიკოლაი კოლოუბაკინი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველის უფროსს აკრუზნმტერს მოკლე შეტყობინებას უგზავნიდა ოსმალეთის შემადგენლობაში შეხვედრის ქობულეთისა და გურიაში გლეხთა მღელვარების შესახებ. გლეხთა გამოსვლას გენერალ-გუბერნატორი „მანიფესტაციას“ უწოდებს. კოლოუბაკინი იმასაც იტყობინებოდა, რომ გლეხთა მღელვარების ჩასახშობად ჯარი მზად ჰყავდა. 7 აპრილს კრუზნმტერს კოლოუბაკინს მოსთხოვა, დაწერილებითი ცნობები მიუწოდებინა მისთვის გურიაში გლეხთა მღელვარების შესახებ. კრუზნმტერნი კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელ გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ ორბელიანის დავალებით წერდა: „კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელმა, მისმა ბრწყინვალემა გრიგოლ ორბელიანმა დამავალა მე

უპირჩილესად ვთხოვით მოახსენიოთ მას, თუ რა მდგომარეობაში ხსენებული მანიფესტაციები, ვისგან მომდინარეობდა იგი, რა მიზანს ისახავდა და რა ზომები იყო მიღებული მათ შესწავლად.“ 13 აპრილს კოლოუბაკინმა კრუზნმტერს მოხსენება გაუგზავნა 1862 წლის მარტში თავადებისა და აზნაურების წინააღმდეგ ოზურგეთის მაზრის სოფლების გურიათისა და ლანჩხუთის გლეხების შეარაღებული გამოსვლის შესახებ. გურიათისა და გლეხთა გამოსვლის თაობაზე გენერალ-გუბერნატორი წერდა: „მანიფესტაცია გურიაში, რომლის შესახებაც მე თქვენ გაცნობებით დეპეშით, ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომლებსაც აქ საბატონო გლეხები ხშირად აწყობენ ბატონყმურ ბეგარა-გადასახადებთან დაკავშირებით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მანამდე გლეხებს საჩივრები მებატონეთა ზედმეტი მოთხოვნების შესახებ მოჰქონდათ ცალცალკე. უკანასკნელი მანიფესტაცია ოზურგეთის მაზრის გურიათის უბნის გლეხებმა მოაწყვეს მარტის (1862 წ. - გ. გ.) დასაწყისში უფრო ფართო მასშტაბით და მასში დაახლოებით 200 შეარაღებული კაცი იღებდა მონაწილეობას. მაზრის უფროსის ადგილზე დროულმა გამოცხადებამ და მისმა კეთილგონიერმა ჩარევამ სასურველი გავლენა იქონია და გლეხები დაიმალნენ.“ მოხსენებაში კოლოუბაკინი ლანჩხუთში გლეხთა გამოსვლასაც ეხება: „გურიათის გლეხების მსგავსად ლანჩხუთის უბნის გლეხებმაც, რიცხვით 100 კაცამდე, სცადეს შეედგნათ ხროვა, მაგრამ ესენიც მაზრის უფროსის მონაწილეობით მოურიგდნენ

თავიანთ მებატონეებს ბეგარის შესახებ, რომლის გამოც ჰქონდათ მათ დავა.“

ნიკოლაი კოლოუბაკინის მოხსენებიდან არ დგინდება, კონკრეტულად ვის, რომელ თავადსა თუ აზნაურს აუჯანყდნენ გლეხები, ვინ ხელმძღვანელობდა გლეხთა გამოსვლებს, კონკრეტულად, როგორ მოახერხა მაზრის უფროსმა ჯარის გამოყენების გარეშე გლეხთა დამშვიდება. ერთადერთი, რაც დანაშაულებით ვიცით, ისაა, რომ 1862 წლის მარტში გურიათისა და ლანჩხუთის უბნებში დაწყებული გლეხთა გამოსვლა აპრილის დამდეგს უკვე დასრულებული იყო.

2. გლეხთა მეორე გამოსვლის (1862 წლის აგვისტო) შესახებ უფრო მეტი მასალა შემონახულია. ირკვევა, რომ აჯანყება აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყო სოფელ ნაგომარში ყოველწლიური ბაზრობის დამთავრების შემდეგ. აჯანყდნენ ჯერ თავად გურიელების, შემდეგ თავად ნაკაშიძეების და სხვა თავადებისა და აზნაურების ყმები. აჯანყების დაწყებიდან მეორე-მესამე დღეს, 9 აგვისტოს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ნიკოლაი კოლოუბაკინმა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის (მთავარი სამმართველოს) უფროსს, ა. კრუზნმტერს, დეპეშით აცნობა: „გურიის ზოგიერთი მემამულის გლეხებმა გამოხვლა მოაწყვეს, რომლის მიზეზი ჯერ გამოურკვეველია. გუშინ მე იქ გავგზავნე სამოქალაქო გუბერნატორის (ანდრეას იზოუსკი - გ. გ.) და ველი ცნობებს ორპირიდან. თუ საჭირო იქნა, მეც გავეგზავნები“. 9 აგვისტოსვე კოლოუბაკინი მეორე დეპეშას უგზავნის

კრუზნმტერს: „გლეხთა მღელვარება გურიაში სულ უფრო საყოველთაო ხასიათს იძენს. მიგვგზავნები. გუბერნატორი (იგლისხმება სამოქალაქო გუბერნატორი - გ. გ.) ითხოვს ჯარის გაგზავნას. ღმერთმა დაგვიფაროს უკიდურესი ზომებისაგან.“

1862 წლის 9 აგვისტოს ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორმა ანდრეას იზოუსკიმ კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელ გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ ორბელიანს გურიის სოფლებში: შემოქმედში, გურიათისა და ბახვში დაწყებული გლეხთა მღელვარების შესახებ მოახსენა. მოხსენების შინაარსი ასეთია:

1. შემოქმედის მონასტრის გაღავნის შენობა გლეხები ყოფილან შეკრებილი. შეკრების შესახებ 1862 წლის 8 აგვისტოს, ნაშუადღევს 6 საათზე, ქუთაისის მაზრის ერთ-ერთ სოფელში შეუტყვია ანდრეას იზოუსკის, რომელიც დაუყოვნებლივ გამგზავნულია ოზურგეთისაკენ, სადაც 9 აგვისტოს დილით, 10 საათზე, ჩასულა;

2. გლეხთა მღელვარების შესახებ ოზურგეთის მაზრის უფროსის შტაბს-კაპიტან პრინცის დანმარებით შეგროვილი ცნობებიდან შეუტყვიათ, რომ შემოქმედის მონასტრის ეზოში ბახვის უბნის გლეხები ყოფილან შეკრებილი, რომელთაც 8 აგვისტომდე მონასტრის ეზო დაუტოვებიათ, მაგრამ კვლავ მოუყვიათ თავი ოზურგეთიდან 4 ვერსის მოშორებით;

მასალის გურული (ბაბრამღვანა იძნება)

ჩამოქცევაზე დარბიული ოთხთა მონასტერი და უჯვრო იშხანი...

საქართველოს მშენებლობის კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის შესავალი ტურქეთში



კაკასიძეთა ციხე

რამდენიმე წევრს სხვის ბოსტანში გადასული პირუტყვივით მოერეებოდა აქეთ, ყურში არც თურქული შეუშვა და არც ინგლისური. თავის ხელმძღვანელობას აუხსნა, რომ სურბელი პოეტი-სა და უცხო ენის მასწავლებლის ოტია ტრაპაიძის ლექსების კრებული აკრძალულ პოლიტიკულ ლიტერატურად მიიჩნია. სიტუაციის გარკვევის შემდეგ, თურქ მეზაყეს, ჩემი აზრით, ბოდიშის მოხდა მართებდა მეზობელი ქვეყნის მოქალაქისადმი არაადამიანური მოპყრობისათვის, ისევე, როგორც ქართველ მეზაყეს – 37 წუთის განმავლობაში ჩემი „კუთხეში დაყენებისათვის“.

ორიოდე სიტყვას თურქეთზეც ვიტყვი და მერე მივყვით მთავარ თემს. თანამედროვე მსოფლიოში, ალბათ თითზე ჩამოსათვლელიც არ არიან ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც ისტორიულად მოკლე მონაკვეთში, 25-30 წელიწადში, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, სპორტული თუ სხვა თვალსაზრისით, ისეთი ნახტომი გაეკეთებინოთ, როგორც თურქეთმა გააკეთა. თურქეთი დღეს ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფოა, სადაც, სოფლად თუ ქალაქად, მშენებლობების ბუძია, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა უმაღლეს დონეზეა, არნახული ეკონომიკური



ართვინის ციხე

წინსვლა. აქ უსაქმურად ვერავის ნახავთ, ყველა შრომობს და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ყველა სახელმწიფოებრივად აზროვნებს და სახელმწიფოს ძლიერებისთვის ზრუნავს.

ექსპედიცია ფაქტობრივად უძველესი ქართული ხეობის მაჭახელას (პროფ. თური სისხარულიძის ვრცელი ნაშრომის მიხედვით, ამ ხეობას მიჭიხანძი ჰქვია) იმ ნაწილის მონახულებით დაიწყო, რომელიც დღეს თურქეთის საზღვრებშია.

ციხე, რომელსაც „ქაჯეთის ციხესაც“ უწოდებენ. მთორე დღეს ოუსუფელის რაიონში სოფელ თექქალეში მოინახულეთ კაკასიძეების ციხე. ეს ციხე, მართალია პატარაა, მაგრამ ძალიან პირქუში და მოუდგომელია. ასეთი მოუდგომელი პოვნა მთელ პროვინციაში გაგიჭირდებათ. ცნობილია, რომ ამ ციხეზე ასვლას ექვთიმე თაყაიშვილიც ოცენებოდა, თუმცა დიდმა მეცნიერმა ეს ვერ მოახერხა. ციხე

ეზე ვერ ასულან ვერც დიმიტრი ბაქრაძე, ვერც აკადემიკოსი პავლინოვი და ვერც მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე. იმ დროს თექქალეზე მისასვლელი ერთად ერთი გზა უკვე ჩამორეცხილი ყოფილა.

ექვთიმე თაყაიშვილი წიგნში „1937 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“ ამ ციხეს ოთხთა ეკლესიის ციხედ იხსენიებს და ტახლებში დართული აქვს ფოტო წარწერით – „ციხე მდინარეთა ოთხთა ეკლესიის – წყლის მარცხენა ნაპირზე“. ოთხთა ეკლესია, რამდენიმე ნაგებობას აერთიანებდა, მათ შორის იგულისხმა მეცნიერმა ეს ციხე და მისი დარბაზული ეკლესია. თუმცა, შემდეგ უკვე მას კაკასიძეების ციხეს უწოდებს, თექქალე (რაც ცალ ციხეს ნიშნავს) კი თურქული სახელია.

როგორც აღვნიშნეთ, კაკასიძეების ციხე მოუვალა, მაგრამ მას სხვა საფრთხე ემუქრება: გამორიცხული არ არის, რომ ციხის ბალაგრებამდე მიღწეულმა ჩამორეცხვებმა კლდოვანი მასის ჩამოშლა გამოიწვიოს, რასაც, შესაძლოა, საგალალო შედეგი მოჰყვება.

ოლთისში ვნახეთ X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი და სულიერი საგანე ოთხთა ეკლესია. ტაძარი უძმძეს მდგომარეობაშია და თუ სადმე განვაშის ზარია შემოსაკრავი, აქ უნდა შემოვკრათ, რადგან თუ სასწრაფოდ არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, გვიანდელი ხანის ბაზილიკების ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუში ჩაიქცევა და გაცემტვერდება.


ოთხთა ეკლესია მდებარეობს მდინარე ჭოროხის ხეობაში, მარცხენა ნაპირზე, სოფელ დორთკილისეგან 5 კილომეტრში, 1350 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სამკუთხა ბაქანზე. მონასტერი შედგება ოთხი ნაგებობისაგან.

მთავარი ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკაა, რომლის სიგრძე 29 მეტრამდეა, სიანე – 19 მეტრამდე, სიმაღლე 22 მეტრი. გარედან ეკლესია მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ტუფის ქვებით ტლანქად ნათალი ტუფი, ავურთან და რიყის ქვებთან ერთად, ასევე გამოყენებულია შიდა წყობისათვის. პილასტრები სუფთა თლილი ქვებისგან შედგება. სამხრეთი და დასავლეთი კედლები დაფარულია ორმეტრიანი ჩამოწოლილი ქანებით, რის გამოც საძირკველი მხოლოდ აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ჩანს.

ბაზილიკა X საუკუნის მეორე ნახევარში დავით დიდ კურაპალატს მოუპირკეთებია. მასვე აქ სემინარია დაუარსებია.

საკურთხეველზე შემორჩენილია ფრესკები. მრავლად არის მსახვრალი ხელის მიერ გაკეთებული წარწერები. საკურთხევლის სარკმელში არსებულ ფრესკაზე, როგორც ვარაუდობენ, წმინდა ელენე ან წმინდა ეკატერინე უნდა იყოს გამოსახული.

ბოლოს ერზრუმისკენ გავსწიეთ, სადაც მალაღ მთაში, ზღვის დონიდან 1760 მეტრ სიმაღლეზე VII საუკუნის უიშვიათესი ძეგლი იშხნის ტაძარი ვინილეთ. ეს ის მონასტერია, სადაც, ილარიონ იშხნელის დაკვეთით, გადაწერილია სახარება, შემდგომში ე. წ. მესტიის სახარება. აქ 963 წელს შესრულდა ჭველური მოიქროვილი ვერცხლის ვჯარი, რომელიც, წარწერის თანახმად, 973 წელს ეპისკოპოს ილარიონს იშხნის მონასტრისთვის შეუკვეთია. ამჟამად ეს ვჯარი საქართველოს ხელოვნების სახ-



მაჭახელას ხეობა

ელმწიფო მუზეუმში ინახება. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია მთავარი ტაძარი და მცირე ეკლესია. იშხნის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ მხარე ამერტაოში, ოლთისის წყლის ხეობაში. სოფელ იშხანში. როგორც ბატონი თური სისხარულიძე ამბობს იშხანის ქართული სახელია კალმანი.

იშხანი ყოველთვის საეპისკოპოსო იყო. ტაძრის კედლებზე პირვანდელი სამშენებლო წარწერა არ არის. ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ VII საუკუნის 40-იან წლებამდე იშხანში ეპისკოპოს-ქალკელინიკის ნერსეს მიერ იყო აშენებული ტაძარი. შემდგომში (652 წელს) ნერსე სომხეთის კათალიკოსად იკურთხა სახელით ნერსესი, სადაც ასეთივე ტიპის ტაძარი ააგო – ზვარტნოცი ვაგარშაფატში. ცნობილია, რომ ტაოს იმ ნაწილში, სადაც იშხანი მდებარეობს, ძირძველ ქართველებთან ერთად, სომხებიც ცხოვრობდნენ. გეგმაში იშხნის ტაძარი იყო ტეტრაკონქი შემოსასვლელით. საგარაოდ, ტაძარი არაბებმა მურვან ყრუს შემოსევის დროს დაანგრიეს.

იშხანი IX საუკუნის I ნახევარში გრიგოლ ხანძთელის დედის დისწულის და მისი მოწაფის საბას მიერ აშენდა. საბამ ტაძარი ააგო ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, რომლიდანაც გადარჩენილი საკურთხევლის ნახევრადწრიული აბსიდი სვეტებზე დაყრდნობილი თაღების მწკრივით ნერსეს პატივსაცემად და სახსოვრად საბას მთლიანად მოუქცევია ახალ შენობაში. საბა განლა იშხანის პირველი ქართველი ეპისკოპოსი. ამ ტაძრის ეპისკოპოსებს იშხნელებს ეძახდნენ. საეპისკოპოსო კათედრამ იშხანში XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე იარსება.



დელეგაციის ერთი კგუფი ოთხთა ეკლესიაში

იშხანის ტაძარმა, მიუხედავად გადაკეთებისა და ნგრევისა, მრავალი წარწერა შეინარჩუნა. ზოგიერთი საკმაოდ ვრცელია და ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

იშხანის კომპლექსის ირგვლივ ბევრი ნაგებობა იყო, მაგრამ ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ მთავარი ტაძარი და მის ახლოს მდგომი მცირე ეკლესია.

ტაძარს 2016 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია. ვიზუალი მთლიანობაში კარგად გამოიყურება, თუმცა, გუმბათის ქვემოთა სახურავი მარჯვენა მხარეს არასიმეტრიული ჩანს და, რაც ყველაზე უცნაურია, გუმბათი უგვირგვინია, ანუ არ ადგას ვჯარი.

სამწუხაროდ, ორ დღეში ვერ მოვასწარი სხვა ქართული ისტორიული ძეგლების მონახულება, რომლებიც ამ მხარეში მრავლადია.

წერილის მომზადებისას დავუკავშირდი პროფესორ თური სისხარულიძეს და მისი თანხმობით გამოვიყენეთ ამ სახელდებული ისტორიკოსის კვლევები.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: პოეტები – ვემალ დობოჯგინიძე, ოტია ტრაპაიძე; ვემალ კეჭყამაძე, თემურ მარმანიშვილი, ზეზვა გურიელი; მხატვარი ზაზა დობოჯგინიძე; გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი; სოფელ სურების კოლორიტიტი – მამია ბარამიძე, ვასილ რამიშვილი, დავით ტრაპაიძე, ლომეულ ტრაპაიძე, შოთა უნგაძე.

ექსპედიციის წევრები მადლობას უხდით ნარუჯელ ახალგაზრდა კაცს, გოგიტა ბერიძეს, რომელმაც, მძღოლობასთან ერთად, ვიღობაც იკისრა და ორივე საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი.

ხსოვნა

ვერა გორგოშიძე



ოზურგეთის პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი გამოაკლდა. გარდაიცვალა სო-

ფელ შემოქმედის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების ყოფილი მასწავლებელი, უკეთილშობილესი პიროვნება, ქალბატონი ვერა გორგოშიძე.

იგი დაიბადა 1921 წელს, სოფელ ლიხაურში. 1936 წელს დაამთავრა ოზურგეთის პედაგოგიური სასწავლებელი. მუშაობდა შემოქმედის საშუალო სკოლაში საქმის მწარმოებლად, შემდეგ კი - დაწყებითი კლასების მასწავლებლად.


ქალბატონი ვერა ათეული წლების მანძილზე რუდუნებით, უდიდესი პასუხისმგებლობით, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით ასრულებდა საპატიო მოვალეობას. მოსწავლეებში აყალიბებდა ზნეობრივ სახეს, უნერ-

გავდა მათ მამულის სიყვარულს.

დაჯილდოებული იყო მთავრობის ვილდითი „კაკასის დაცვის-ათვის“ და მედლით „1941-1945 წლებში მამაცური შრომისათვის“.

უბაღლო მანდილოსნის, თბილი, ბავშვების მოყვარული ვერა მასწავლებლის ნათელი ხსოვნა მარად იქნება აღზრდილების, კოლეგებისა და უახლოესი ადამიანების ხსოვნაში. შემოქმედის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი,

სამართალო ავადმყოფთა და მცენიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოფისში რაიონული ორგანიზაცია.



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ფოტოგრაფი **რომან რილარავა.**

დაკრძალვა ხვალ, სამშაბათს, 1 ოქტომბერს. გამოსვენება გამსახურდიას ქუჩიდან.

გახეთ „ალიონის“ რედაქცია თანაურძნობს გიორგი, დავით და პაატა რილარავებს მამის **რომან რილარავას** გარდაცვალების გამო.

მარადისობაში გადაკარგულ ხალხთა ისტორია-იოსებ მშვიდლობაში



XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან 1917 წლამდე 150-მდე ქართველი ცხენოსანმა გააყარა აზერისა და ევროპის თავიანთი ნიჭი და შემოქმედება. პირველი გასვლა აზერიაში შედგა 1892 წელს ის დროა, როდესაც აშშ სახელმწიფოებრიობის 100 წლისთავს შეიძობდა ამასთან დაკავშირებით ეწყობოდა განადიდებული სანახაობები და მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული საუკეთესო ცხენოსნები. ამ მისიით საქართველოში ჩამოვიდა აზერის წარმომადგენელი თომას ოლივერი, რომელმაც აშშ-ს კონსულითა საქართველოში (ბათუმში) და მასთან მომუშავე ზემო ჩიხათელი კირილე ჯორბენაძის დახარებით ოზურგეთსა და ლანჩხუთში შეკრიბა 10 კაციანი ჯგუფი ივანე მასარაძის ხელმძღვანელობით. აქედან იღებს სათავეს თავდასავალი, რომელიც დაახლოებით 30 წელი გაგრძელდა. თავდაპირველად ისინი მარსელში (საფრანგეთი) ჩავიდნენ სტამბოლიდან, იქედან პარიზში, შემდეგ პარიზი და იქედან საოკეანო სომალის ჩავიდნენ აზერიაში ცხენოსნები მონაწილეობას ღებულობდნენ აზერიაში „მაილი ცირკში“ გამართულ სანახაობებში, მათგან მათთვის ყველაზე საინტერესო სანახაობად იქცა გურულების ვიზიტი, ცეკვა და სიმღერა. ამ ჯგუფში შედიოდა ლუკა ჩხარტიშვილი. ისინი ცნობილი „ბუფალი ბილის“ ცირკში გამოდიოდნენ და მიუღიან აზერისა და ევროპის გაოცება მოახერხეს საცხენოსნო ოსტატობით ცხენოსანთა ჯგუფის წევრები მამაკაცების გარდა იყვნენ ქალბატონებიც ისინი მუტ ხიბლას და ლანათის მატყლდნენ ასპარეზობას. მოვიდნენ შორის გახლდათ ლანჩხუთელი იოსებ მშვიდლობაში.

მშვიდლობისა და მისი ოჯახის თავდასავალი მიაბო. ამასწინათ კი სოციალურ ქსელებში ბატონ ირაკლი მასარაძის მიერ გამოქვეყნებული ფოტო ვნახე-ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე შერბობის კედელზე მექსიკელი მხატვრის მიერ მოხატული უცხოელთა შორის ერთ-ერთი გურული მოჯირითე იოსებ მშვიდლობაში აღმოჩნდა.

იოსები დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუნეწერში. აზერიაში დიმიტრი ცინცაძეს წაუყვანია. წასვლის წინ მიეცა ქალბატონი ლია ბაბუა ჩემს - იოსებ მშვიდლობაში, მხედრისათვის საჭირო ტანსაცმლის შესატყნად, რაც რამ ებადა, გაუყვია და იმ ფულით ყველაფერი შეუქმნია, სათანადოდ გამოწყობილა და მომზადებული დიმიტრის უთქვამს ბაბუაჩემისათვის შენისთანა პატიოსანი, ჭკვიანი და ვაგაკცი, კარგი მხედარი ცოტა თუ მოინახულო ჩვენში. სცადე ბედი, წამოდი აზერიაში, ამ ჩვენს ჯგუფში მხედრად, თავსაც არაგებ და ოჯახსაც დაეხმარებო, ამდენად დიმიტრის გაპირებით იოსები აზერიაში აღმოჩნდა, იქედან აგზავნიდა თავის ნამუშევარ ფულს და მრავალშვილიან ოჯახს ამით არჩენდა.

ბაბუაჩემს იოსებ მშვიდლობაში და ბებიამეც მარიამ ბარამიძეს 7 შვილი ჰყოლიათ. იოსების აზერიაში ყოფნისას ერთ ზამთარში ლანჩხუთის სოფლებში მათ შორის მჩხვართა და ჯუნეწერში „ისპანკა“ (ესპანეთიდან შემოსული შავი ჭირი) მძინვარებდა. თურმე სამხელი უბედურება მოხდა იოსების ოჯახში. 5 ჯანმრთელი ბავშვი დაიღუპა ამ სენით. ბავშვების დედა-მარიაში შვილების დარდმა-იმსხვერპლა, 6 მიცვალბული მიაბარეს მიწას ერთი წლის განმავლობაში. ამ დაავადებას გადაურჩა 2 შვილი, ვაჟები: კვირიკი 13 წლის და ვასილი - 7 წლის.

სიკვდილით განადგურებულ ოჯახს კონომიურად ძალიან უჭირდა ოჯახის უფროსი შვილი-კვირიკი ნათესავ ვაჟებს წაუყვანია თავისთან ლუქანში

სამუშაოდ. აზერიაში მყოფ იოსებს რომ შეუტყვევია მისი ოჯახის უბედურება, გადაუწყვეტია აღარ დაბრუნებულიყო თავის სოფელში, მაგრამ შემდეგ ნათესავებს და მეზობლებს აზერიაში გაუგზავნეს წერილი: „ობლად გვზრდება წესიერი და ჭკვიანი ბიჭები დაბრუნდი და ეპატრონე“.

იოსები შვილების ხილვის მოძალბულმა სურვილმა ჩამოიყვანა უფიქრია რა მდგომარეობაში არიან, შვილებს ჩემს ნამუშევარ ფულს მოვანხარ და ისევ წავალ აზერიაში სამუშაოდ.

იმ ხანად კერძო ვაჭრობის პერიოდი ყოფილა, ყველას ვისაც კი ამის საშუალება და უნარი ჰქონდა შეეძლო გაეხსნა ლუქანი.

იოსებს უფიქრია რა კი უფროსმა ვაჟმა კვირიკემ ვაჭრობის საქმე იცის, მოუწყობ ლუქანს, სავაჭრო საქონელს შეუქმნა და შეეხვდა როგორ წავა საქმე. მართლაც ერთ ვაჭრისაგან შეუქმნა ლუქანი, მოუწყვია პირველადი საჭიროების საგნებით (მარილი, საპონი, მაქარი, სათილე, ფართალი და სხვ.) მერე კვირიკი ბათუმში გაუგზავნა ახალი საქონლის ჩამოსატყნად. თავად სახლში წასულა უმცროსი ვაჟი დედ-მამის მოსანახულებლად.

კვირიკი ბათუმიდან ღამით 2 საათისთვის ჩამოსულა მატარებლით, მოსულა ლუქანში შექმნილი საქონლით, მაგრამ მამა იქ არ დახვდნია. გაუღია ლუქანი და იქვე დაწოლილა დასაძინებლად, ძალიან გვიანი იყო, თანაც საქონელი ვერ მოუტოვებია. იქნებოდა ღამის 3 საათი, ხმაური რომ გაუგია. კვირიკისთვის 6 შეიარაღებულ კაცს კარები გასაღებით გაუღიათ და შემოსულან. კვირიკის დაუნახავს და მამნევე მიმხვდარა, რომ ქურდები იყვნენ და თავი მოუმიხინარებია. ქურდებს ყველაფერი წაუღიათ, ლუქიდან სკივრიც წაიღეს, რომელშიც ფული იყო. განთიადისას კვირიკი სახლისაკენ გაქცეულა, რომ მამისათვის ეამბნა, მაგრამ მამა შინ არ დახვდნია, უთქვამთ: ვუმინ საღამოს წამოვიდა შენს დასახვედრა ლუქანში. სოფელში არავინ აღმოჩნდა იოსების მხახველი. მიუღი დღე ეტება სოფელი იოსებს. საღამოს იპოვეს ხილის ქვეშ მკვდარი. შვილები კვირიკი და 7 წლის ვასილი ჰკვიდნენ - მამა მოვიკვლეს მამა, ხალხი ტირილა და მოთქვამდა შვილებთან ერთად. მამნევე მტკიცედ უთქვამს სოფლებს მკვლელებს არ გავახარებთო, ჩვენ თვითონ ვიპოვით და გაუსწორდებით კანონი და სამართალი ეგ იქნება. როგორც დაადგინეს იოსებ მშვიდლობაში ტყვეთი იყო მოკლული (პირდაპირ სახეში, ნასროლი ტყვეების კვალი კუთხეში გადადიოდა). ხალხმა ცხედარი ოჯახში გადმოასვენა.

კვირიკი მშვიდობის მოგონებდან: „ამ სამხელმა მკვლელობის ამბავმა შესძრა სოფელი, ასეთი პატიოსანი კაცი როგორ მოკლესო, აღმფრთხილებს ხალხმა რაიონის ყველა თემში მოიწვიეს ყრილობა და გადაწყვიტეს, მონახონ მკვლელები და თვითონ გაუსწორდნენ, გასამართლების გარეშე“.

დაკრძალვის დღეს, უფროს ვაჟს კვირიკის ხალხისთვის შეუფიცავს, რომ იპოვიდა და ფიზიკურად გაუსწორდებოდა მამის მკვლელს. კვირიკის გაუყვინა მარჩენალი ლუქანი, ოჯახში დარჩენილი საქონელი: ძროხა და ხარი, შეუქმნა იარაღი და შურისძიებისთვის მომზადებულა. მისი კეთილმსურველება ურჩევით შენ ისეთი კაცის შვილი ხარ, ეგ საქმე შენი ხელით არ გამოვა, კაცის მოკვლა შენი ოჯახის და გვარის საქმე არ არის, მიეცი ფული ისეთ ხალხს, ვინც გამოცდილია ასეთ საქმეში და მოუნიშნებიათ კიდევ კვირიკის უნახავს ორი კაცი და ფულიც შეუთავაზებია, მაგრამ მათ უთქვამთ: ისეთი კაცია მოკლული, მის შვილს ვერ გამოვართმევთო. სე ბიბიკო, ყველაფერში დავეხმარებით და ამ საქმეს გაგიკეთებთ, როგორც საჭიროა - შევისრულებთო.“

დაპირებისამებრ ერთ თვეში 5 მძარცველთაგანი მოუკლავთ, ორი ავაზაკი დაუჭერათ და მოუყვანათ იმ ადგილას, სადაც გატაცებული სკივრი ჰქონდათ ჩამარხული, სკივრი მიწიდან ამოაღებინეს და იქვე მოუკლავთ.

...მაღლე გამოძლავდა თურმე თუ როგორ მომხდარა მკვლელობა და ვის ოჯახში დაიგემა ეს ამბავი: როგორც გაირკვა, იმ საღამოს ლუქანში მიმავალ იოსებს ბნელიტები დახვედრია, ხილის ქვეშ ჩაუყვანა გაძარცვის მიზნით, კვირიკის უთქვამს „ბევრი არაფერი მაქვს და ამ მცირე თანხის გულისთვის არ ღირს ცოდვის ჩადენა“ სკივრი სად არისო-უკითხავთ, წაურთმევით თან რაც ჰქონდა და თოფი მოსაკლავად შემართავთ.

ბიჭებო, წაიღეთ, რაც გინდათ, არ მომკლათ, შვილებს ნუ დამიბოლებთ, დედით ობოლ შვილებს, - ეს ყოფილა იოსების უკანასკნელი სიტყვები.

იოსების შთამომავლები: უფროსი ვაჟი კვირიკი შემდეგში შეანიშნავი ოჯახის მამა და პატრონი, ლანჩხუთის უსინათლოთა თავმჯდომარე წლების მანძილზე, კეთილსინდისიერი, სათუთი სულის პატრონი ყოფილა. ჰყავდა მუდამ თამარ კირილეს ასული ხოფერია (ეს ის კირილე ხოფერია ვასლავთ, რომელიც თავად იყო აზერიაში გურული მოჯირითეა შორის). შვილები: ვიფი მშვიდლობაში - ნიჭიერი, ფრიალოსანი მეთაე კლასის მოსწავლე - ტრავიკულად დაიღუპა. ქლიშვილი



ქეთევანი - ექიმია და პროფესიული ოსტატობით ემსახურება თავის საქმეს ჰყავს ორი შვილი: ქალი-თამარ გვარჯალაძე - ექიმი, ვაჟი გიორგი გვარჯალაძე - კონომისტი.

იოსებ მშვიდლობის მეორე უმცროსი ვაჟი - ვასილ მშვიდლობაში ცნობილი სოფლის მურენობის სპეციალისტი, წლების მანძილზე წარმატდას ჩაის და ციტრუსების საბჭოთა მურენობის დირექტორი და მრავალი ჯილდოს მფლობელი. 1949 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ვასილის მეუღლე აღექვანდრა სამსონია, ნატანების სკოლის დირექტორი, შემდეგ ლანჩხუთში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საქათველოს რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, დაჯილდოებული მრავალი ორდენით და მედლით. ჰყავს სამი შვილი: უფროსი ქალიშვილი მერი ექიმი ქირურგი, ორთოპედ-ვერტებრილოგი პირველი ქართველი ქალი ვისაც ლექტორის ხარისხი ორთოპედია-ტრავმატოლოგიის დარგში. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი. ვასო მშვიდლობის მეორე ქალიშვილი ლია მშვიდლობაში ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჰყავს მეუღლე და შვილები. ქალიშვილი ცისანა თავთაქიშვილი და ვაჟი გურამ თავთაქიშვილი ორთავე დაოჯახებულა.

ვასილ მშვიდლობის ვაჟიშვილი ზურაბ მშვიდლობაში ინჟინერ-მექანიზატორი დაოჯახებული; ჰყავს მეუღლე - მანანა კალანდარიშვილი, ექიმი სტომატოლოგი შვილები: ვასილ მშვიდლობაში ინჟინერი, ქალიშვილი - ნინო მშვიდლობაში ხელოვანი, მხატვარ-ღიზანერი.

მანანა ლომიანი, ოზურგეთის სამხეურომ გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

„ზამთარი იგი“ ახალციხეში

ალიონი. სანამ ოზურგეთის თეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, თეატრის დასი ინტენსიურად მუშაობს. ევროპული და სტამბოლის საგასტროლო ტურნედან დაბრუნებული თეატრი ახალციხეში მყოფებელს მსახიობის და რეჟისორის კახა გოგიძის ახალ სპექტაკლს „ზამთარი იგი“ სთავაზობს. ინსცენირების ავტორი რეჟისორია ვთანდილ ვარსიმაშვილია.

სპექტაკლი გაიმართა ახალციხის თეატრში, 21 სექტემბერს, 19 საათზე ეროვნული დრამატურგიის ფესტივალის ფარგლებში.

კახა გოგიძე, რეჟისორი, მსახიობი: „ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვასო ჩიგოვიძის მოწვევით ოზურგეთის თეატრში დავდგი

სპექტაკლი „ზამთარი იგი“.საინტერესო, სახალისო ამბავია, სიტუაცია კომედია. დგას სიმარტოვის პრობლემა, რომელიც არ არის გადმოცემული ტრაგიკულ-დრამატული ელფერით. აქ სხვადასხვა ადამიანი ერთიანდება ერთი ადამიანის გარშემო და როგორც ეტყობა, სამომავლოდაც ერთად იქნებიან.“

სპექტაკლის რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებე ლიკა ხაგოვიძეა, მხატვარი ვია გვიჩია, რეჟისორის ასისტენტი მაკა მამულაიშვილი.

როლებს-ასრულელებოზურგეთისთეატრისმსახიობები: ბელა კიკვაძე, თეა კეჭავაძე, ზვიად ჯორბენაძე, შორენა სინარულიძე (თეატრისსტუდიელი).

ლია კილაძე,
თეატრის პრეს სამსახური



ნატანები – ავთო თავდუმაძისა და ვაჟა შენგელიას ხსოვნის ტურნირი პინიფოხბურთში



ფოთელთაგან ლუკა კემელავამ, ფოთელთა მორე გოლი გიგა ნათიძეს ეკუთვნის (ავტოგოლი).

მესამე ადგილისთვის მატჩში ფოთელებმა ბათუმელები 8:1 გაანადგურეს. ფოთელებიდან გოლები გაიტანეს: დავით ანდლულაძე – 5, სანდრო აბრამიძე, საბა შანშიაშვილი და სერგო აბრამიძე, თითო, ბათუმელებიდან კი ერთადერთი გოლის ავტორი თედო თავლაძე გახდა.

ფინალური მატჩი მაცურებლებით გადაჭედდა და დიდი გულშემატკვირების ფონზე ჩატარდა. პირველი გოლი ლანჩხუთელებმა გაიტანეს (სოსო კვაჭაძე), ტაიმი ამ ანგარიშით დამთავრდა. მორე ნახევარი მასპინძელთა შეტევებით მიმდინარეობდა და ბოლოს მათმა მონდომებამ შედეგი გამოიღო. საბასუხო გოლი ლუკა კობლაძემ გაიტანა. დანიაშა ისევ 7-მეტრიანი დარტყმები. მასპინძლებმა აქაც იმარჯვეს და 4:3 გაიმარჯვეს. ამ დღის გმირები კი ნატანებელთა მეკარე შოთა თარხნიშვილი და გუნდის ყველაზე უმცროსი წევრი ბექა გოგოლაური გახდნენ. ბექას მწვრთნელმა გადაწყვეტი დარტყმის უფლება მისცა და მან გუნდს იმელები გაუმართლა.

გამართა ტურნირში მონაწილე გუნდების დაჯილდოება. ტურნირის ორგანიზატორის ვია ტულუშის თაოსნობით, ტურნირში მონაწილე ოთხივე გუნდის ფეხბურთელებს გადაეცათ სამასსოვრო თასები, მედლები და დიპლომები.

მე-4 ადგილზე გასულ ბათუმელ ფეხბურთელებს საჩუქრები გადასცა სოფელ ნატანების გამგებელმა, ქალბატონმა ნაირა კვაჭაძემ; მესამე ადგილზე გასული ფოთელი ფეხბურთელები ბატონმა გელა შაფაქიძემ დააჯილდოვა, მორე ადგილზე გასულ გუნდს საპატიო საჩუქრები ვაჟა შენგელიამ მიუღწია, ქალბატონმა ნატო შენგელიამ გადასცა. გამარჯვებული ნატანების გუნდის კაპიტანს ვია ნათიძეს სამასსოვრო თასი ავთო თავდუმაძის შვილმა იაშკა თავდუმაძემ გადასცა.

გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა ნომინაციებში: საუკეთესო მეკარე ლანჩხუთელი გიორგი ბისიუშვილი დასახელდა. პრიზი მას



ბატონმა კახა ეფრემიძემ გადასცა; საუკეთესო მცველად ფოთელი ალექსანდრე აბრამიძე დასახელდა, თასი მას ტურნირის საპატიო სტუმარმა, თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა ფეხბურთელმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, ევროპის თასის მფლობელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ბატონმა დავით მუჯირმა გადასცა; საუკეთესო ნახევარმცველი ბათუმელი თედო თავლაძე გახდა, პრიზი მას ბატონმა ვაჟაშვილმა გადასცა.

ტურნირის საუკეთესო თავდასმხმელი მასპინძელი ვია ნათიძე გახდა. ტურნირზე სტუმრად უნდა ჩამოსულიყო კიდევ ერთი ვეტერანი „დინამოელი“ ბატონი რევაზ ჩელვაძე, რომელიც ოჯახური პირობების გამო ვერ ჩამოვიდა და ტურნირის ორგანიზატორებს ბოდიში შემოგვითვალა. მისი სახელით კი ვიგას პრიზი დავით მუჯირმა გადასცა. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი 5 გატანილი გოლით ფოთელი დავით ანდლულაძე გახდა, საჩუქარი მას ბატონ გივი წითლიძის შვილთაშვილმა ბატონმა აკაკი წითლიძემ გადასცა. პირადად აკაკი წითლიძემ ნატანებელ ფეხბურთელებს 40 ცალი საუკეთესო ხარისხის საფეხბურთო ფორმები შეუძინა.

არც ბატონი დავით მუჯირი ჩამოსულა უსაჩუქროდ, მან პირადად აკაკი წითლიძეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან სამასსოვროდ გამოგზავნილი საფეხბურთო მისური აჩუქა უკან

წარწერით „გივი წითლიძე“, ხოლო სოფელს –საფეხბურთო ბურთი 1981 წლის 13 მაისის გმირების ავტოგრაფებით.

ტურნირი ჩატარდა მაღალ დონეზე, ორგანიზებულად. ესწრებოდნენ როგორც საპატიო სტუმრები, ასევე ავთო თავდუმაძისა და ვაჟა შენგელის ოჯახის წევრები. ტურნირის ორგანიზატორი ვია ტულუშა დიდ მადლობას უხდის ყველა სტუმარს, მონაწილე გუნდების ფეხბურთელებს, მშობლებს, მწვრთნელებს, ნატანებელ ფეხბურთის გულშემატკვირებს, ბატონ აკაკი წითლიძეს და ყველა იმ პიროვნებას, რომლებმაც ტურნირის მნიშვნელობა გაითავისეს. გადაწყდა, რომ ტურნირი ტრადიციული გახდება და ყოველი წლის 20 სექტემბერს გაიმართება.

აქვე გაგაცნობთ მასპინძელი გუნდის შემადგენლობას: შოთა თარხნიშვილი, დიმიტრი პერხანოვი, უჩა ხოშიერიკი, გიორგი ხოშიერიკი, ალექო ცერცვაძე, მძებე გიგა და გუგა ნათიძე, ლუკა მასარაძე, თორნიკე ბაქანიძე, ირაკლი კავაზაშვილი, ლუკა ხურციძე, თამაზ ოდიკაძე, ნიკა ფილფანი, გიორგი გოგოტიშვილი, დავით აკობიძე, სოსო ცენტრეაძე, ზაქრო სირაძე, გეგა ჩხაიძე, ლაშა გოგოტიშვილი, მიშოკო მიმინოშვილი, ლუკა პატას ძე მიმინოშვილი, ლუკა ბართაია, გიორგი ბოლქვაძე, საბა სალუქვაძე, ბექა გოგოლაური, ლუკა კობლაძე და ლუკა საგინაძე.



(მწვრთნელი – კახა ეფრემიძე), ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლა (მწვრთნელი – თემურ გობრონიძე, ლაშა ჩიკაშუა), და ნატანების ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (დირექტორი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებათა თავკაცი გელა შაფაქიძე, უფროსი სპეციალისტი – გორა კრასოტიკინი, მწვრთნელები – ვია ტულუშა, თემურ ლლონტი).

კენჭისყრის მიხედვით პირველ ნახევარფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ ბათუმელი და ლანჩხუთელი ფეხბურთელები წარსდგნენ. მინიმალური ანგარიშით 1:0 გამარჯვებს ლანჩხუთელებმა, გოლი დათო კერხანოიძემ გაიტანა.

მორე ნახევარფინალურ წევრებში მასპინძლების მეტოქე ფოთის ძალზე ძლიერი გუნდი გახლდათ. მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რის გამოც დარბაზში მოსულმა მრავალრიცხოვანმა მაცურებელმა ძალიან დიდი სიამოვნება მიიღო. ძირითადი დრო ფრედ, 2:2 დასრულდა. ვერც დამატებითმა ხუთმა წუთმა გამოავლინა გამარჯვებული და დანიაშა 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები, სადაც ნატანებელმა ჭაბუკებმა იმარჯვეს და მეტოქე 5:2 დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა მეკარემ შოთა თარხნიშვილმა სამი საჯარიმო დარტყმა მოიგერია. თამაშში კი გოლები გაიტანეს: ნატანებელთაგან – ვია ნათიძემ ორივე,

20 სექტემბერს ნატანების ვივი წითლიძის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ნატანების „ნარინჯის“ მთავარი მწვრთნელის ავთო თავდუმაძისა და ყოფილი მოჭიდავის, ნატანების სპორტული დარბაზის დირექტორის ვაჟა შენგელის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

ტურნირში მონაწილეობდნენ: ბათუმის „ბაკური“ (კლუბის დირექტორი სპორტის ოსტატი ვაჟაშვილ მენაბდე, მწვრთნელი – დავით აბესლაძე), ფოთის „კოლხეთი“

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზიანი
მზიანი, ღრუბლიანი
+13+23
30 სექტემბერი ორშაბათი

მზიანი
მზიანი
+12+25
1 ოქტომბერი სამშაბათი

მზიანი
მზიანი
+15+25
2 ოქტომბერი ოთხშაბათი

მზიანი
მზიანი
+15+26
3 ოქტომბერი ხუთშაბათი

მზიანი
მზიანი
+14+26
4 ოქტომბერი - პარასკევი

წვიმა
წვიმა
+11+23
5 ოქტომბერი შაბათი

მზიანი
მზიანი
+10+20
6 ოქტომბერი კვირა